

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა 20

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. რადიო უნივერსის საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისიის დასკვნის განხილვა (მომხსენებელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე პროფ. ჯ. ბერიძე);
2. ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტიდან გამოყოფისა და სტუ-ს შემადგენლობაში დამოუკიდებლად შესვლის საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი ინსტიტუტის დირექტორი ნოდარ წიგნაძე);
3. სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი);
4. სტუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობის ზოგიერთი პირისთვის გაზრდილი ხელფასების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი);
5. სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცება; (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი);
6. კომერციული დანიშნულების ფართების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი);
7. სახელმწიფოსთვის ქონების დაბრუნების საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი);
8. მიმდინარე საკითხები
ინფორმაცია:
 - ა) სტუ-ს ინფრასტრუქტურის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ხელშემწყობი კომისიის შესახებ (მომხსენებელი პროფ. მერაბ თევზაძე);
 - ბ) მიმდინარე წლის I კვარტალში სტუ-ს მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ.
 - გ) 2008 წლის მაისის და ივნისის თვის სატელეფონო საუბრებისა და საწვავის ლიმიტების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა 20 ჩატარდება

2008 წლის 16 აპრილს 12 საათზე

სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის მცირე სააქტო დარბაზში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 16 აპრილის სხდომის

ოქმი 20

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 59. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი – დღის წესრიგის პირველი საკითხის წარმოსადგენად სიტყვა მინდა გადავცე დროებითი კომისიის თავმჯდომარეს პროფ. ჯემალ ბერიძეს.

პროფ. ჯემალ ბერიძე – 2008 წლის 22 თებერვალს 19 სხდომაზე გამოტანილ იქნა საკითხი შ.პ.ს. "რადიოცენტრი+"-ში სტუ-ს 5% წილის დათმობის თაობაზე. შეიქმნა დროებითი კომისია, რომლის დასკვნასაც მოგახსენებთ: 1999 წელს შეიქმნა შ.პ.ს. "რადიოცენტრი+", რომელსაც უნდა მოეხდინა მაუწყებლობა FM დიაპაზონში. სტუდია მუშაობდა მე-8 კორპუსში, მოგვიანებით სპორტის სასახლის ტერიტორიაზე გაშენდა მრავალსართულიანი სახლები, რომლებიც ბლოკავდნენ მაუწყებლობას და მაუწყებლობა იყო მხოლოდ თბილისში. ვიცით, რომ ფული შემოდის რეკლამით. რეკლამაში კი ფულს მხოლოდ თბილისის მასშტაბით არავინ იხდიდა. საჭირო გახდა დიაპაზონის გაზრდა, რასაც სჭირდება ანტენის გადატანა სხვა ადგილას. ამ სამუშაოებს სჭირდება 200-300 ათასი დოლარის ექვივალენტი. ჩვენ თუ გვინდა ამ რადიოში ყოფნა უნდა შევიტანოთ ჩვენი წილი. მთელი კაპიტალი მაშინ იყო 5 000 ლარი, ამის 5%-ს უწევდა 250 ლარი, მაგრამ ახლა ლიცენზია ფასობს, რადგან თავისუფალი სიხშირე არ არსებობს. ლიცენზიას უნდა 100 000 დოლარი. ჩვენ გვიწევს 5 000

დოლარის ექვივალენტი. ჩვენ ვთხოვეთ დამფუძნებლებს თუ უნდათ, რომ ჩვენ დავთმოთ ეს წილი უნდა გადაუხადონ სტუ-ს 5 000 დოლარის ექვივალენტი, თანაც ამ რადიოში გადიოდნენ პრაქტიკას ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სტუდენტები.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – იქნებ მოველაპარაკოთ რადიოს პარტნიორებს, რომ ჩვენს სტუდენტებს რაღაც საათები მაინც დაუთმონ პრაქტიკის სახით.

სტუდენტი თემურ დუნდუა – ჩვენ შევხვდით პარტნიორებს და მათ პირიქით გვითხრეს, რომ სიამოვნებით მიიღებენ ჩვენს სტუდენტებს.

პროფ. ეკატერინე თევზაძე – სტუ-ს წილის დათმობის თაობაზე არსებობს "რადიო ცენტრი +"-ის საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისიის დადებითი დასკვნა. კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

სპიკერის მიერ წარმოდგენილ პირველ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 16 აპრილის 20 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 16 აპრილს 20 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რადიო "უნივერსის" საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისიის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი შ.პ.ს. "რადიოცენტრი+"-ში სტუ-ს 5% წილის დათმობის თაობაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა და კომისიის გადაწყვეტილებით სტუ-ს მიერ შ.პ.ს. "რადიოცენტრი+"-ში 5% წილის დათმობა მოხდეს მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნების სრული დაცვით, შ.პ.ს. "რადიოცენტრი+"-ის მიერ 5% წილის ღირებულების საბაზრო ფასების გათვალისწინებით სტუ-ს ბიუჯეტში

გადახდის შემდეგ.

პროფ. ეკატერინე თევზაძე – მეორე საკითხის განსახილველად ვთხოვთ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორს ბატონ ნოდარ წიგნაძეს.

პროფ. ნოდარ წიგნაძე – ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის საჭირო გახდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მისი მიერთება. ასე ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც შევიდა სამშენებლო ფაკულტეტის შემადგენლობაში, მაგრამ ახლა მათგან გამოყოფა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: სამუშაოების ფართო სპექტრი, ჩვენი მიზნების მიღწევისათვის სხდასხვა ტიპის სამუშაოს შესრულება გვიწევს. ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ინსტიტუტი გამოეყოს სამშენებლო ფაკულტეტს. ფაკულტეტის საბჭომ განიხილა ეს საკითხი და ერთხმად დაუჭირა მხარი. ასევე ამ საკითხს მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომაც. ჩვენი დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – ინსტიტუტი არ შეიძლება გამოყოფილ იქნას ფაკულტეტიდან, რადგან საქართველოს განათლების კანონში წერია, რომ კვლევითი ინსტიტუტი უნდა იყოს ფაკულტეტის სტრუქტურაში.

პროფ. ნოდარ წიგნაძე – კანონში წერია, რომ უნივერსიტეტს აქვს უფლება ჰყავდეს ცალკე კვლევითი ინსტიტუტი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ვინ იხდის საგურამოს ბაზის გადასახადს?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – იხდიან თვითონ, გარდა ამისა მათი გასვლა ფაკულტეტიდან არანაირ ცვლილებებს არ შეიტანს უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

პროფ. ეკატერინე თევზაძე – თუკი მეტი შეკითხვა აღარ არის, გთხოვთ ვუყაროთ კენჭი წარმოდგენილ საკითხს.

საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 16 აპრილის 20 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 16 აპრილს 20 სხდომაზე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების – ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი აღნიშნული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტიდან გამოყოფისა და სტუ-ს შემადგენლობაში დამოუკიდებლად შესვლის საკითხის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საკითხი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება – ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტიდან გამოყოფისა და სტუ-ს შემადგენლობაში დამოუკიდებლად შესვლის შესახებ.

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიში. ტრიბუნასთან ვთხოვთ პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ეს საკითხი უნდა გადაიდოს. აქ არის მოსაგვარებელი ტექნიკური საკითხები. ჩვენი კომისიის დასკვნა შენიშვნების სახით უნდა გადაეცეს ქალბატონ ქეთის და შემდეგ გამოვიტანოთ დასამტკიცებლად.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – რა დანიშნულება აქვს კომისიებს? რატომ კომისიის სხდომაზე არ თქვით შენიშვნები?

პროფ. დავით ჯაფარიძე – კომისიაზე ითქვა, რომ ანგარიშს თან უნდა ახლდეს აუდიტის დასკვნა, ანგარიშში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია

დეტალურად გაწერილი ხარჯვითი ნაწილის შესახებ, ასევე ანგარიშში ასახული უნდა იყოს ახალი სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის ეფექტი. დღესაც ვამბობ, ანგარიშის წარმოდგენის დროს ძალიან კარგად უნდა იყოს გაწერილი ყველაფერი, რათა იყოს გამჭვირვალე. უნდა იყოს ინფორმაცია დეტალურად გაწერილი ხარჯვითი ნაწილის შესახებ. გარდა ამისა ვერ მოვაგვარეთ "კავკასიის ბიზნეს სკოლის" საკითხი. მე თან მოტანილი მაქვს ქალაქის ანგარიში, რომელშიც გაწერილია ყველა ხარჯები დეტალურად. ასევე თქვენი ანგარიშიც და ინფორმაცია საბჭოს მუშაობის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ჩვენს გაზეთშიც. ახა რისთვის არსებობს სტუ-ს გაზეთი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – თქვენ წარმოდგენილი გაქვთ ქალაქის ბიუჯეტის ანგარიში და არა ანგარიში საქმიანობის შესახებ. ანგარიშის განხილვის დროს კომისიებმა წარმოადგინონ დასკვნები, შემდეგ ვუპასუხებ ვეთანხმები მათ თუ არა.

პროფ. ჯუმბერ იოსებიძე – დეკანების ხელფასების შესახებ საკითხი საერთოდ იხსნებოდა. მე ცოტა ჩამოვაკლებინე თანხა და გამოვიდა, რომ ჯუმბერ იოსებიძემ დააკლებინა დეკანების ხელფასები, სამაგიეროდ გაეზარდა ტექნიკურ პერსონალს.

პროფ. გენადი იაშვილი – ჯობდა შენიშვნები დროზე მიგვეწოდებინა. ქალბატონ ქეთის მართლა ბევრი საქმე აქვს გაკეთებული და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – განვიხილოთ ანგარიში, როგორც ის არის წარმოდგენილი და მომავალ წელს როგორც ითხოვენ ისე გავაკეთოთ.

პროფ. აგული სოხაძე – ქალბატონმა ქეთიმ რამდენი სიკეთე გააკეთა ყველამ ვიცით. ამიტომ მე მაქვს წინადადება ბატონ დავითს მივცეთ სიტყვა, რომ გამოთქვას არგუმენტები, უპასუხოს ქალბატონმა ქეთიმ და შემდეგ ჩვენ გადავწყვიტოთ განვიხილოთ თუ არა ეს საკითხი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენს უნივერსიტეტს ჩემზე უკეთ არავინ იცნობს. ჩვენს უნივერსიტეტში არ მოისპო ენების მიტან-მოტანა. თითქოს ჯაფარიძე

კარგის საწინააღმდეგოდ გამოდიოდეს და არ სურდეს, რომ რაიმე შეიცვალოს სასიკეთოდ. მე თითქოს ვინმეს ვუპირისპირდებოდე. ანგარიშში დადებითი ბევრია და ვერ დავუკარგავთ, მოწესრიგდა ურთიერთობები ბანკებთან და მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც გარკვეულწილად მოწესრიგდა. მაგრამ თუ ჩვენ გვინდა სრული წარმოდგენა შეგვექმნას ბიუჯეტზე, ანგარიშს უნდა ჰქონდეს შესატყვისი ცხრილი კლასიფიკატორის შესაბამისად, რომ ადვილად გაკეთდეს ანალიზი, და ყველა რიგითმა თანამშრომელმა იცოდეს რას აკეთებს ადმინისტრაცია. უნდა იყოს ყველა ხარჯი გამჭვირვალედ გაწერილი და თანდართული ყველა ქვემდებარე სამსახურის ანგარიშები, თუ რა სარგებელი მოაქვთ მათ ტექნიკური უნივერსიტეტისათვის.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – გმადლობთ რჩევისათვის, ვცდები ყველა დოკუმენტი მოგაწოდოთ. ერთი დღით ადრე მაინც რომ გეთქვათ მე წარმოგიდგენდით ამ საბუთებს. ეს არამარტო თქვენს არამედ ჩემს ინტერესშიც შედის.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა პროფ. დ. ჯაფარიძის წინადადება ანგარიშის განხილვიდან მოხსნის თაობაზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის გამო. საკითხს კენჭი ეყარა – 29 მომხრე, 3 წინააღმდეგი, დანარჩენმა – თავი შეიკავა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 16 აპრილის 20 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 16 აპრილს 20 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის შესახებ. წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და

ეკონიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დაისვა საკითხი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის განხილვიდან მოხსნის თაობაზე. წინადადება დადგა კენჭისყრაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით (29 – მომხრე, 3 – წინააღმდეგი, დანარჩენმა – თავი შეიკავა) გადაწყდა:

– სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიში მოხსნილი იქნას განხილვიდან;

– მომავალში წარმოდგენილ ანგარიშს თან დაერთოს 2007 წლის ბიუჯეტის შესრულების დეტალური ანალიზი და ადმინისტრაციას დაქვემდებარებული სამსახურების ანგარიშები ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

პროფ. ეკატერინე თევზაძე – გადავიდეთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე, სტუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობის ზოგიერთი პირისთვის გაზრდილი ხელფასების დამტკიცება. მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობის ზოგიერთი პირისთვის გაზრდილი ხელფასის ნუსხა თქვენ დარიგებული გაქვთ და ამას აღარ გავიმეორებ. მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ მე მომმართა ერთერთი ფაკულტეტის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და აღნიშნა, რომ მას უნდა ჰქონდეს იგივე ხელფასი, რაც დეკანის მოადგილეს, რადგან მათი დატვირთვა არაფრით ჩამოუვარდება დეკანის მოადგილეების დატვირთვას.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ყველა თანამდებობის პირს ხელფასი დაემატოს კოეფიციენტით, უნდა მოხდეს რანგირება და ეს ყველაფერი დარეგულირდება.

პროფ. დემურ დანელია – მიმართულების ხელმძღვანელს არაფერი დანამატი არ აქვს და ფაკულტეტების პროფკავშირების თავმჯდომარეებს ეძლევათ 50 ლარი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – კოეფიციენტების განსაზღვრა არ არის ჩემი პრეროგატივა და ამ საკითხის მოგვარება დაევალოს კომისიას. დეკანებს ჩამოაკლდათ ხელფასი (იხ. დანართი 2). აქ ერთადერთი შენიშვნა იქნება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელფასის მომატებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შრომის ანაზღაურების ოდენობა, ნაცვლად წარმოდგენილი 600 ლარისა განისაზღვროს 650 ლარით.

პროფ. აგული სოხაძე – აქ ლაპარაკია საქმეზე და არა თანამდებობაზე. ჩვენმა კომისიამ ჩაწერა სიმბოლურად მიმართულების ხელმძღვანელებს მივცეთ 50 ლარი. უნდა იყოს ძირითადი ერთეული სრული პროფესორი და აქედან გამოდიოდეს კოეფიციენტი.

სტუდენტი ქეთევან ჩაჩავა – მისასალმებელია ხელფასების ზრდა, მაგრამ რის ხარჯზე?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ხელფასები იზრდება სახელფასო ფონდის ხარჯზე. როცა დამტკიცდა ბიუჯეტი ვთქვით, რომ მატება იქნება 2008 წლის მანძილზე. მე იმასაც გეტყვით, რომ იმ პროფესურას, რომლებიც აყვანილია 2 წლით მათთვის იგეგმება ხელფასების მატება აპრილიდან.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი. საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 16 აპრილის 20 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 16 აპრილს 20 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობების ზოგიერთი პირისთვის გაზრდილი ხელფასების დამტკიცების შესახებ.

თანამდებობის დასახელება/რაოდენობა	არსებული ხელფასი	გაზრდილი ხელფასი	ნამატი
ფაკულტეტის დეკანი /8 პირი	821/ 6568	1000/ 8000	179/ 1432
ფაკულტეტის დეკანის მოადგილე / 16 პირი	586/ 9376	700 / 11200	114/ 1824

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი / 8 პირი	528/ 4224	650/ 5200	122/ 976
რესურსების მართვის სამსახურის უფროსი / 1 პირი	469 / 469	540 / 540	71/ 71
სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი / 1 პირი	469/ 469	540 / 540	71/ 71
ფაკულტეტების მთავარი სპეციალისტები/4პირი	352/ 1408	405/ 1620	53/ 212
ფაკულტეტების სპეციალისტები /36 პირი	234/ 8190	290/10440	56/ 2016
ჰსფ-ის საერთაშორისო გერმანულენოვანი ინსტიტუტის ხელმძღვანელი (დანამატი)/ 1 პირი	138/ 138	500/ 500	362/ 362
არქივარიუსი /8 პირი	211/1688	261/ 2088	50/ 400
ბიბლიოთეკარი /8 პირი	211/1688	250/ 2000	40/ 320

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობების ზოგიერთი პირისთვის გაზრდილი ხელფასები 2008 წლის 1 მაისიდან წარმოდგენილი სახით. (იხ. დანართი 2).

2. დაევალოს წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედ და სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედი კომისიებს შეიმუშაონ ხელფასების განსაზღვრის ერთიანი კოეფიციენტი, მოახდინონ რანგირება და ერთეულად მიიღონ სრული პროფესორის ანაზღაურება.

პროფ. ეკატერინე თევზაძე – გადავიდეთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე. სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცება. მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – შემოსავლებში და ხარჯთაღრიცხვაში შესატანი

ცვლილებები წარმოდგენილია დანართში. მინდა დავამატო, რომ გაჩნდა 300 000 ლარი. 25 000 მოხმარდება მაგიდებისა და სკამების შეკეთებას.

პროფ. დავით ჯაფარიძე – იქნებ რაღაცა თანხა გამოვნახოთ, რომ მერხები და დაფები დავკიდოთ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საოფისე მაგიდებზე და სკამებზე დღეს არის ტენდერი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი. საკითხს კენჭი ეყარა, წინააღმდეგი არცერთი, თავი შეიკავა ერთმა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 16 აპრილის 20 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 16 აპრილს 20 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში, კერძოდ: კომპიუტერული მოწყობილობის შეძენის მუხლიდან 51049 ლარი გადატანილ იქნას შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში (კერძოდ: 17000 ლარი კომპიუტერული მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებში); ასევე შენობა-ნაგებობების დაცვისა და სახანძრო დაცვის მომსახურების მუხლიდან 58951 ლარი გადმოტანილი იქნას შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში, შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები: კომპიუტერული მოწყობილობის შეძენის მუხლიდან 51049 ლარი გადმოტანილ იქნას შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში (კერძოდ: 17000 ლარი კომპიუტერული მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებში); ასევე

შენობა-ნაგებობების დაცვისა და სახანძრო დაცვის მომსახურების მუხლიდან 58951 ლარი გადმოტანილ იქნას შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში. (იხ. დანართი 3).

პროფ. ეკატერინე თევზაძე – გადავიდეთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: კომერციული დანიშნულების ფართების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება. მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – თქვენ დარიგებული გაქვთ იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხა.

- სტუ-ს VI კორპუსის I სართულზე, ფოიეს ტერიტორია 42 კვ.მ. კომერციული დანიშნულებით, (4 წლის ვადით);
- კოსტავას ქ. 77 მდებარე ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე არსებული 19.20 კვ.მ. ფართი (5 წლის ვადით).
- I კორპუსი ე.წ. ვერანდა (შპს "კენგურუს" მიერ იჯარით აღებული ტერიტორიის მიმდებარე ფართი);
- II კორპუსის I სართული, 15 კვ.მ.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით განხილვიდან მოიხსნა შემდეგი ობიექტები:

- I კორპუსი ე.წ. ვერანდა (შპს "კენგურუს" მიერ იჯარით აღებული ტერიტორიის მიმდებარე ფართი);
- II კორპუსის I სართული, 15 კვ.მ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი. საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად :

- სტუ-ს VI კორპუსის I სართულზე, ფოიეს ტერიტორია 42 კვ.მ. კომერციული დანიშნულებით, (4 წლის ვადით);
- კოსტავას ქ. 77 მდებარე ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე

არსებული 19.20 კვ.მ. ფართი (5 წლის ვადით).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 16 აპრილის 20 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 16 აპრილს 20 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი კომერციული დანიშნულების ფართების იჯარით გაცემის შესახებ, კერძოდ:

- სტუ-ს VI კორპუსის I სართულზე, ფოიეს ტერიტორია 42 კვ.მ. კომერციული დანიშნულებით (4 წლის ვადით);
- I კორპუსი ე.წ. ვერანდა (შ.პ.ს. "კენგურუს" მიერ იჯარით აღებული ტერიტორიის მიმდებარე ფართი);
- II კორპუსის I სართული, 15 კვ.მ.
- კოსტავას ქ. 77 მდებარე ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე არსებული 19.20 კვ.მ. ფართი (5 წლის ვადით).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა კომერციული დანიშნულების ფართების გაიჯარების საკითხი:

1. *სტუ-ს VI კორპუსის I სართულზე, ფოიეს ტერიტორია 42 კვ.მ. კომერციული დანიშნულებით (4 წლის ვადით)*
2. *კოსტავას ქ. 77 მდებარე ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე არსებული 19.20 კვ.მ. ფართი (5 წლის ვადით),*

ხოლო დანარჩენი 2 ობიექტი, კერძოდ:

- *I კორპუსი ე.წ. ვერანდა (შ.პ.ს. "კენგურუს" მიერ იჯარით აღებული ტერიტორიის მიმდებარე ფართი),*
- *II კორპუსის I სართული, 15 კვ.მ.*

მოიხსნა განხილვიდან ინფორმაციის დაზუსტების მიზნით. (იხ. დანართი 3).

პროფ. ეკატერინე თევზაძე – გადავიდეთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე; სახელმწიფოსთვის ქონების დაბრუნების საკითხის დამტკიცება. მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ცნობილია, რომ სტუ-ს ქ. ბორჯომში ჰქონდა ფილიალი და ის გაუქმდა 2005 წელს. იქ შედიოდა როგორც სასწავლო ისე საცხოვრებელი კორპუსი. ეს ქონება დიდი ხანია უზუფრუქტით სხვაზეა გაცემული, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენს ბალანსზეა და საჭიროა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. ფილიალის ლიკვიდაცია მოხდა და ახლა იქ კოლეჯია განთავსებული.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი. საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 48, წინააღმდეგი – 2, თავი შეიკავა – 1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 16 აპრილის 20 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 16 აპრილს 20 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სახელმწიფოსათვის ქონების დაბრუნების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით საქართველოს

ტექნიკურ უნივერსიტეტზე უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული (ხელშეკრულების 1-5803) ქ. ბორჯომში მდებარე უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები) და მოძრავი ქონება დაუბრუნდეს სახელმწიფოს. (იხ. დანართი 3).

მიმდინარე საკითხები:

სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე – მიმდინარე საკითხის წარმოსადგენად ვთხოვ პროფ. მერაბ თევზაძეს.

პროფ. მერაბ თევზაძე – ქალაქში მოკრავთ ყურს, რომ იყიდება I კორპუსი, III-IV კორპუსები. სტუ-ში შეიქმნა ინფრასტრუქტურის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ხელშემწყობი კომისია. ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე. თანამშრომლები ჩივიან, რომ I კორპუსზე წერია "ხინკლის სახლი". თქვენ კათედრის გამგებმა განაცხადეთ, რომ თანახმა იყავით. ადრე იყო რესტორანი, შემდეგ მათ სხვას გადასცეს არენდით. იქნებ მოიხსნას აბრა. ნახეთ რა ხდება 3-4 კორპუსში. იქ "საქართველოს უნივერსიტეტის" მანქანები რომ მოძრაობენ ეს არის სტუდენტების სარეკრეაციო ზონა. მათ უნდა შეცვალონ მისამართი (კოსტავას ქ. 77) და შეცვალონ აბრა. ჩვენ კი ჩვენის მხრივ უნდა გავაკეთოთ აბრები ყველა კორპუსზე ქართულად და ინგლისურად. ადრეც მოინდომეს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვაგან გადატანა, მაგრამ ვერ გადაიტანეს. მე-3 კორპუსის ეზოში სტადიონი არ არის. ეს არის საფეხბურთო მოედანი, რომელიც ჩვენი სტუდენტებისთვის უნდა იყოს. ეს არის ნონსენსი, რომ I კორპუსს დავაწეროთ "ხინკლის სახლი". ამჟამად სტადიონი წაიღეს სულ სხვა მიზეზით, როდესაც ეს უნივერსიტეტი შესახლდა მე-5 კორპუსში.

სტუდენტი ბენო გეგეჭკორი – 3-4 კორპუსების ბაღში იყო სკამები და ურნები, ეს უნდა აღდგეს.

პროფ. ვანო თვალავაძე – კიკეთის სახლთან დაკავშირებით მივწერეთ ეკონომიკის სამინისტროს. ის დიდი ხანია გაიყიდა.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – 2006 წელს გაიყიდა კიკეთი და ჩვენ მის დაბრუნებას ვერ შევძლებთ.

სპიკერი – ვუყაროთ კენჭი სტუ-ს ინფრასტრუქტურის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ხელშემწყობი კომისიის დადგენილებას.

საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 16 აპრილის 20 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 16 აპრილს 20 სხდომაზე სტუ-ს ინფრასტრუქტურის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ხელშემწყობი კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოგდენილი იქნა ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად უყარეს კენჭი სტუ-ს ინფრასტრუქტურის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ხელშემწყობი კომისიის დადგენილებას:

1. ა) სტუ-ს ყველა სასწავლო კორპუსის შესასვლელებზე გაკეთდეს ფირნიშები ქართულ და ინგლისურ ენებზე უნივერსიტეტის შენობების მისამართის, სასწავლო კორპუსის რიგითი ნომრისა და მასში განთავსებული ფაკულტეტის (ფაკულტეტების) მითითებით;
 - ბ) აიკრძალოს უნივერსიტეტის შიდა ტერიტორიაზე ავტომანქანების მოძრაობა სპეციალური ნებართვის გარეშე;
 - გ) ჩაიკეტოს ეზოებში შესასვლელი კარები და ავტომანქანების გაშვების რეჟიმზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის არასაუწყებო დაცვას.
2. წინადადება მიეცეს მოიჯარე პირებს მათ მიერ აღებულ ფართებზე არ დაუშვან უნივერსიტეტისათვის შეუსაბამო და უნებართვო წარწერების გაკეთება.
3. სტუ-ს ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები პერიოდულად მოხსენდეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე – მიმდინარე საკითხის წარმოსადგენად, კერძოდ: 2008 წლის მაისის და ივნისის თვის სატელეფონო საუბრებისა და საწვავის ლიმიტების შესახებ, ვთხოვ პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს – ამ საკითხს წარმოგიდგენთ ინფორმაციის სახით, რომელიც გამოვიტანე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიაზე და შეჯერებული იქნა. კომისიას ჰქონდა გარკვეული შენიშვნები, რომელიც იქნა გათვალისწინებული. ეს არის ბოლო ვარიანტი, რომელიც თქვენთან შეთანხმებულია და კიდევ ერთხელ წაკითხვით თავს არ შეგაწყენთ. რაც შეეხება ტენდერებს, კომპიუტერების შეძენა დასრულებულია და პირველ რიგში რიგდება ფაკულტეტებზე.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,

ასოცირებული პროფესორი

/გინა გურეშიძე/